საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N536 2015 წლის 19 მარტი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. საბაჟო-გამშვები პუნქტის - „ყაზბეგის“ მიმდებარედ, მდინარე თერგის კალაპოტის დროებითი პრევენციული ნაპირსამაგრი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს გამოუყოს 1 700 000 (ერთი მილიონ შვიდასი ათასი) ლარი.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საბაჟო-გამშვები პუნქტის - „ყაზბეგის“ მიმდებარედ, მდინარე თერგის კალაპოტის დროებით პრევენციულ ნაპირსამაგრ ღონისძიებებთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურების განხორციელება უზრუნველყოს 2015 წელს მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი *ირაკლი ღარიბაშვილი*